

შპს „LTD Kairos Logistic“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	3
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	4
1. კორპორატიული ინფორმაცია	4
2. მომზადების საფუძველი	4
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	5
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	8
5. ამონაგები მომსახურების გაწევიდან.....	9
6. მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები	9
7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	9
8. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	9
9. სხვა არასაოპერაციო ხარჯები.....	10
10. ფინანსური ხარჯები	10
11. ძირითადი საშუალებები	11
12. ფული და ფულის ექვივალენტები.....	12
13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	12
14. გრძელვადიანი სესხები	12
15. ფინანსური იჯარის ვალდებულება.....	12
16. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები.....	12
17. ბალანსის შემდგომი მოვლენები	13

შპს „LTD Kairos Logistic“

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2019 (არააუდიტირებული)	2018 (არააუდიტირებული)
ამონაგები მომსახურების გაწევიდან	5	19,289,621	14,119,239
მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები	6	(16,543,947)	(12,245,432)
საერთო მოგება		2,745,674	1,873,807
სხვა საოპერაციო შემოსავალი		-	11,566
კომერციული ხარჯები		(31,297)	(33,556)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(2,017,529)	(1,574,225)
საოპერაციო მოგება		696,848	277,592
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	8	84,072	348,760
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	9	(154,088)	(387,577)
ფინანსური შემოსავალი		42,916	16,347
ფინანსური ხარჯები	10	(142,457)	(128,958)
ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან, ნეტო		(170,941)	(86,069)
მოგება გადასახადების გადახდამდე		356,350	40,095
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული მოგება		356,350	40,095

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2020 წლის 30 სექტემბერს:

მიხეილ ნამადოვი
დირექტორი



შპს „LTD Kairos Logistic“

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

		2019	2018
	შენიშვნა	(არააუდიტირებული)	(არააუდიტირებული)
ამონაგები მომსახურების გაწევიდან	5	19,289,621	14,119,239
მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები	6	(16,543,947)	(12,245,432)
საერთო მოგება		2,745,674	1,873,807
სხვა საოპერაციო შემოსავალი		-	11,566
კომერციული ხარჯები		(31,297)	(33,556)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(2,017,529)	(1,574,225)
საოპერაციო მოგება		696,848	277,592
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	8	84,072	348,760
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	9	(154,088)	(387,577)
ფინანსური შემოსავალი		42,916	16,347
ფინანსური ხარჯები	10	(142,457)	(128,958)
ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან, ნეტო		(170,941)	(86,069)
მოგება გადასახადების გადახდამდე		356,350	40,095
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული მოგება		356,350	40,095

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2020 წლის 30 სექტემბერს:

მიხეილ ნამადოვი
დირექტორი

შპს „LTD Kairos Logistic“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018 (არააუდიტირებული)	1 იანვარი 2018
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	11	1,543,975	1,567,173	668,940
არამატერიალური აქტივები		11,331	11,832	13,184
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,555,306	1,579,005	682,124
მიმდინარე აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	12	76,036	111,647	209,002
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13	1,385,146	954,370	752,447
გაცემული სესხი		421,122	311,246	-
საგადასახადო აქტივი		15,353	-	26,924
მარაგები		6,730	3,246	401
სულ მიმდინარე აქტივები		1,904,387	1,380,509	988,774
სულ აქტივები		3,459,693	2,959,514	1,670,898
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		15,540	99,080	99,080
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		422,082	65,732	25,637
სულ კაპიტალი		437,622	164,812	124,717
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	14	301,629	352,008	387,094
ფინანსური იჯარის ვალდებულება	15	372,451	609,155	170,118
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		674,080	961,163	557,212
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	16	1,557,477	1,329,889	916,117
საგადასახადო ვალდებულებები		-	11,713	-
მოკლევადიანი სესხები		453,000	248,447	-
ფინანსური იჯარის მიმდინარე ვალდებულება	15	337,514	243,490	72,852
სულ მიმდინარე ვალდებულებები		2,347,991	1,833,539	988,969
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		3,459,693	2,959,514	1,670,898

(არააუდიტირებული)	საწედბო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
1 იანვარი, 2018	99,080	25,637	124,717
პერიოდის მოგება	-	40,095	40,095
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-	-	-
31 დეკემბერი, 2018	99,080	65,732	164,812
პერიოდის მოგება	-	356,350	356,350
კაპიტალის სხვა ცვლილებები	(83,540)	-	(83,540)
31 დეკემბერი, 2019	15,540	422,082	437,622

1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს LTD Kairos Logistic (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანია დაფუძნდა 2013 წლის აპრილში. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 404984781.

ძირითადი საქმიანობა. შპს LTD Kairos Logistic წარმოადგენს საერთაშორისო სატრანსპორტო კომპანიას. კომპანია უზრუნველყოფს სხვადასხვა სახის მომსახურებებს: ლოჯისტიკური; ადგილობრივი გადაზიდვები; ტვირთის საერთაშორისო გადაზიდვები საზღვაო, სახმელეთო და საჰაერო ტრანსპორტირების გზით. კომპანიაში საანგარიშგებო წლის განმავლობაში საშუალოდ დასაქმებული იყო 49 თანამშრომელი.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ალ. ყაზბეგის გამზ., N32ა, ბ. N60.

კომპანიის მეწილეები: ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის ისევე როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის მფლობელები არიან:

- მიხეილ ნამადოვი - 30%
- ეკატერინე ციხისელი - 30%
- ლევან ცქიტიშვილი - 20%
- თეიმურაზ ლაცაბიძე - 20%

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება კომპანიის პირველი წლიური ფინანსური ანგარიშგებაა, რომელიც შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მესამე კატეგორიის კომპანიებისთვის დაშვებული მოდიფიკაციის გათვალისწინებით. კომპანიის მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი. გარკვეული გამოწვევების გარდა, მსს ფასს-ით მოითხოვება 2019 წლის 31 დეკემბერს მოქმედი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების რეტროსპექტიული გამოყენება საწყისი, მსს ფასს-თან შესაბამისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისთვის 2018 წლის 1 იანვრისთვის და ყველა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში, რომელიც წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული საერთაშორისო სტანდარტის პირველადი გამოყენება.

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის, ასევე 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, 2019 და 2018 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებას და ამავე პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას. კომპანიამ გამოიყენა საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მესამე კატეგორიის საწარმოებისთვის დაშვებული გამოწვევისი და არ წარადგენს ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებას.

მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღამდე კომპანიას არ წარუდგენია ფინანსური ანგარიშგება. შესაბამისად, ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია იმის შესახებ თუ რა გავლენა მოახდინა ბუღალტრული აღრიცხვის ადრინდელი საფუძვლებიდან მსს ფასს-ზე გადასვლამ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებზე. მსს ფასს-ით მოითხოვება სტანდარტზე გადასვლის თარიღით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების წარდგენა და მოიცავს გარკვეულ სავალდებულო გამოწვევებსა და მსს ფასს-ის

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

რეტროსპექტიული გამოყენებიდან ნებაყოფილობით გათავისუფლებებს. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიამ გამოიყენა მხოლოდ სავალდებულო გამონაკლისები.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის კომპანიის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2019 წლის 31 დეკემბერს, 2018 წლის 31 დეკემბერს და 1 იანვარს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2019 წლის 31 დეკემბერი	2.8677	3.2095
2018 წლის 31 დეკემბერი	2.6766	3.0701
2018 წლის 1 იანვარი	2.5922	3.1044

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშზე არსებულ ნაშთს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება გამოხატულია რეალიზაციის თანხით, კომპანიას არ გააჩნია საექვო ვალები. საექვო და უიმედო ვალების რეზერვი არ არსებობს კომპანიაში, ვინაიდან არასდროს არსებულა ობიექტური საფუძველი, რომ კომპანია ვერ შეძლებდა მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

ძირითადი საშუალებები.

• **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო რეზერვების აღიარება

წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

არამატერიალური აქტივები.

- **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

- **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

მარაგები. კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდგომარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია მომავალი გადახდების დისკონტირებული ღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური იჯარები

აღიარება და შეფასება. იჯარის ვადის დასაწყისისათვის კომპანია აღიარებს უფლებებს აქტივის გამოყენებაზე და ვალდებულებებს ფინანსურ იჯარაზე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც აქტივებს და ვალდებულებებს საიჯარო აქტივის რეალური ღირებულების ტოლი თანხით.

შემდეგში შეფასება. მინიმალური საიჯარო გადასახდელები გადანაწილებულია დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და დაუფარავი ვალდებულების შემცირებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. საიჯარო გადასახდელები ხარჯად აისახება იმ პერიოდში, როდესაც გაწეული იყო.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გადასახადები. 2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. შესაბამისად კომპანია აღარ აღიარებს მიმდინარე და გადავადებულ მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული მოგების განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

საპენსიო შენატანები. 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და კომპანიას ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

ამონაგების აღიარება. ამონაგები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს მიწოდებული საქონლისთვის/გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს ამონაგებს, როდესაც მისი ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. როდესაც ბარტერული ტრანზაქციით მიღებული საქონლის რეალური ღირებულება ობიექტურად არ არის შეფასებული, ამონაგები განისაზღვრება მიწოდებული საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულებით.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

- **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

- **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდიან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

5. ამონაგები მომსახურების გაწევიდან

	2019	2018
ამონაგები საერთაშორისო გადაზიდვის მომსახურებიდან	18,663,871	13,529,603
ამონაგები სატრანსპორტო საშუალების იჯარიდან	379,619	349,218
ამონაგები სხვა მომსახურებიდან	161,956	95,005
ამონაგები შიდა გადაზიდვის მომსახურებიდან	84,175	145,413
სულ ამონაგები მომსახურების გაწევიდან	19,289,621	14,119,239

6. მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები

	2019	2018
საერთაშორისო გადაზიდვის მომსახურების ხარჯები	(16,223,004)	(11,836,336)
ცვეთა და ამორტიზაცია	(150,279)	(106,925)
შიდა გადაზიდვის მომსახურების ხარჯები	(29,317)	(92,766)
ავტომანქანის იჯარის ხარჯები	(24,641)	(71,927)
მომსახურების სხვა ხარჯები	(116,706)	(137,478)
სულ მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები	(16,543,947)	(12,245,432)

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2019	2018
შრომის ანაზღაურება	(1,502,741)	(1,142,555)
დაზღვევის ხარჯები	(210,212)	(182,979)
საკონსულტაციო ხარჯები	(43,546)	(18,563)
ავტომანქანის მიმდინარე ექსპლუატაციის ხარჯები	(41,981)	(35,503)
ცვეთა და ამორტიზაცია	(38,384)	(36,787)
ბანკის საკომისიო	(35,553)	(30,437)
საწვავის ხარჯები	(32,477)	(45,962)
საპენსიოს ხარჯი	(29,564)	-
მივლინების ხარჯები	(27,332)	(17,453)
საკანცელარიო ხარჯები	(12,257)	(12,810)
კომუნალური ხარჯები	(6,110)	(5,393)
საგადასახადო ხარჯი გარდა მოგების გადასახადისა	(5,438)	(5,233)
სხვადასხვა ადმინისტრაციული ხარჯი	(31,934)	(40,550)
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(2,017,529)	(1,574,225)

8. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი

	2019	2018
შემოსავალი სადაზღვევოს მიერ ზარალის ანაზღაურებიდან	78,323	326,411
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	5,749	22,349
სულ სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	84,072	348,760

9. სხვა არასაოპერაციო ხარჯები

	2019	2018
მოპარული ტვირთის თვითღირებულება	-	(320,024)
უსასყიდლო მიწოდება	-	(3,751)
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	(154,088)	(63,802)
სულ არასაოპერაციო ხარჯები	(154,088)	(387,577)

10. ფინანსური ხარჯები

	2019	2018
ფინანსური იჯარის პროცენტის ხარჯები	(86,112)	(90,776)
სესხების საპროცენტო ხარჯი	(56,345)	(38,182)
სულ ფინანსური ხარჯები	(142,457)	(128,958)

11. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	შენიშვნები	დაუმთავრე ბელი მშენებლობა	მანქანა- დანადგარ ები	ოფისის აღჭურვილო ბა	ავეჯი და სხვა ინვენტა რი	სატრანსპო რტო საშუალებე ბი	საიჯარო აქტივი საკუთრების გადაცემის პირობით	ჯამი
1 იანვარი, 2018	265,543		8,280	64,160	22,671	48,095	303,373	712,122
შესყიდვები	-		-	5,292	3,354	149,624	969,666	1,127,936
რეალიზაცია	-		-	-	-	-	(99,590)	(99,590)
31 დეკემბერი, 2018	265,543		8,280	69,452	26,025	197,719	1,173,449	1,740,468
შესყიდვები	-	85,231	-	24,209	2,492	42,738	43,077	197,748
რეალიზაცია	-	-	-	-	-	(42,738)	-	(42,738)
31 დეკემბერი, 2019	265,543	85,231	8,280	93,661	28,517	197,719	1,216,526	1,895,477
ცვეთა								
1 იანვარი, 2018	(12,149)	-	(2,981)	(15,064)	(5,493)	(2,425)	(5,070)	(43,182)
წლის დარიცხვა	(11,594)		(1,060)	(11,077)	(2,812)	(22,827)	(84,099)	(133,469)
შემცირება რეალიზაციის შედეგად	-		-	-	-	-	3,356	3,356
31 დეკემბერი, 2018	(23,743)	-	(4,041)	(26,141)	(8,305)	(25,252)	(85,813)	(173,295)
წლის დარიცხვა	(12,090)	-	(848)	(12,178)	(2,813)	(37,904)	(112,375)	(178,207)
შემცირება რეალიზაციის შედეგად	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი, 2019	(35,833)	-	(4,889)	(38,319)	(11,118)	(63,156)	(198,188)	(351,502)
ნარჩენი ღირებულება								
1 იანვარი, 2018	253,394	-	5,299	49,096	17,178	45,670	298,303	668,940
31 დეკემბერი, 2018	241,800	-	4,239	43,311	17,720	172,467	1,087,636	1,567,173
31 დეკემბერი, 2019	229,710	85,231	3,391	55,342	17,400	134,563	1,018,338	1,543,975

12. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს საბანკო დაწესებულებებში ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ თანხებს.

13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
სავაჭრო მოთხოვნები	1,179,155	845,214	653,139
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	15,920	6,194	18,933
მოკლევადიანი ავანსები	130,969	86,664	80,375
მისაღები პროცენტები	59,102	16,298	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,385,146	954,370	752,447

14. გრძელვადიანი სესხები

გრძელვადიანი სესხები წარმოადგენს ბანკიდან აღებული სესხის გრძელვადიან ვალდებულებას. სესხი აღებულია დოლარში. მიღებული სესხები უზრუნველყოფილია კომპანიის უძრავი ქონებით.

15. ფინანსური იჯარის ვალდებულება

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
ერთი წლის განმავლობაში	373,000	355,004	101,274
ერთ წელზე მეტი მაგრამ არა უმეტეს ხუთი წლისა	439,257	742,975	194,061
სულ მინიმალური გადასახდელები	812,257	1,097,979	295,335
ფინანსური ხარჯები	(102,291)	(245,334)	(52,365)
მინიმალური გადასახდელების დღევანდელი ღირებულება	709,965	852,645	242,970

16. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
სავაჭრო ვალდებულებები	1,462,896	1,296,510	858,073
მიღებული ავანსები	46,671	18,761	54,339
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	47,910	14,618	3,705
სულ სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	1,557,477	1,329,889	916,117

17. ბალანსის შემდგომი მოვლენები

2019 წლის ბოლოს ჩინეთიდან გავრცელდა ინფორმაცია COVID-19- ის (Coronavirus) შესახებ. წლის ბოლოს უცნობი ვირუსის რამდენიმე შემთხვევა იყო ცნობილი ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციისათვის. 2020 წლის პირველ თვეებში ვირუსის გლობალურმა გავრცელებამ და მისმა ნეგატიურმა გავლენამაც მოიმატა. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ აღნიშნული ფაქტი და უარყოფითი შედეგები წარმოადგენს არამაკორექტირებელ ბალანსის შემდგომ მოვლენას. ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნების მომენტში მომავალი ეფექტების წინასწარ დადგენა შეუძლებელია. მენეჯმენტი გააგრძელებს პოტენციური ზემოქმედების მონიტორინგს და მიიღებს ყველა ზომას, შესაძლო ეფექტების შესამსუბუქებლად.